



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფილოსოფია
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
16-2.06.2022

28.07.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფილოსოფია
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფილოსოფიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0223 ფილოსოფია და ეთიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის N20 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა **ფილოსოფია** ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა 2022 წლის 16 ივლისს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წლის 22 იანვარს (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N20).

დაწესებულებაში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2018 წელს, რომელსაც საფუძვლად დაედო ინსტიტუციური გამოცდილება და მონაცემთა ანალიზი. საგანმანათლებლო პროგრამა თავდაპირველი აკრედიტაციისას მომზადდა აკრედიტაციის სტანდარტების, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ კანონთა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა წესებისა და რეგულაციების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია წარიმართა უცხოელ და ქართველ ექსპერტთა ჩართულობით (გეორგ

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ლომანი, თინათინ ბოჭორიშვილი და თამარ ნადირაშვილი). აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია ყოველგვარი დათქმის გარეშე, სახელდობრ, სააკრედიტაციო პროცედურის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს წარუდგინა რამდენიმე რჩევა. ექსპერტთა რჩევით სასურველი იყო კვლევითი თემატიკის კონცენტრირება, ასევე კვლევითი კომპონენტის ინტერნაციონალიზაცია შესრულებულად ჩათვლილიყო მაღალრეიტინგული სამეცნიერო პერიოდიკის მხრიდან პუბლიკაციის ბეჭდვაზე მიღების თანხმობის წერილის არსებობის შემთხვევაში. განისაზღვრა ასევე სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების კორექტირება საგანმანათლებლო პროგრამის ამუშავების შემდგომ და პროგრამის ფარგლებში პროფესიული ფართო ხედვის განვითარება პრაქტიკულ ფილოსოფიაში.

ექსპერტთა ჯგუფმა გააზიარა ასევე დაწესებულებაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც უკავშირდებოდა აკადემიური წერის ცენტრის წარმატებულ საქმიანობას, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას ინსტიტუციის ფარგლებში.

საბჭოს მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის განხილვის პროცესში საბჭოს წევრებს ჰქონდათ დამაზუსტებელი შეკითხვები ინსტიტუციის მიმართ. კამათის დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ამასთან ჩამოყალიბდა კონკრეტული დათქმაც, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლით 6 თვის თავზე ანგარიშის წარდგენით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას საფუძვლად დაედო ქართული ფილოსოფიის სკოლის საუკეთესო ტრადიციები და ასევე გათვალისწინებული იყო გერმანიის ბოხუმის რურისა უნივერსიტეტის (Ruhr-Universität Bochum) და მიუნსტერის ვილჰელმის (Westfälische Wilhelms-Universität Münster), ბერლინის ჰუმბოლდტის (Humboldt-Universität zu Berlin), შვეიცარიის ფრიბურგის (Université de Fribourg) და საფრანგეთის ტულუზის (Université de Toulouse) უნივერსიტეტების ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამების სტრუქტურები, სადაც კვლევასთან დაკავშირებულ სასწავლო კომპონენტი და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში პუბლიცირებაა წამყვანი. პროგრამის განვითარებაში აქტიურადაა ჩართული უცხოელი დარგის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამის განმახორციელებელ პირებს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკებს და პერიოდულად ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. პროგრამის დოქტორანტებს აქვთ უცხოელი თანახელმძღვანელის ყოლის საშუალება, რაც შესაძლებელია დასრულდეს ორმაგი (ვესტვალის ვილჰელმის უნივერსიტეტის) ხარისხის მოპოვებით კოტუტელის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამას გაზიარებული აქვს აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა მიერ გამოთქმული რჩევები და შესაბამისად, დოქტორანტებს ასევე საშუალება ეძლევათ პროგრამის ფარგლებში კვლევა წარმართონ პრაქტიკული ფილოსოფიის მიმართულებით.

პროგრამის განვითარება ასევე განხორციელდა ეტაპობრივად საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეების საფუძველზე. უწინარესად, ცვლილებები შეეხება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შემოტანას. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის გ ქვეპუნქტის შესაბამისად შეიცვალა პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტმოცულობა და ამ ეტაპზე ფიქსირდება 60 კრედიტი. ამას გარდა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ჩამონათვალს დაემატა TSDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების ტრენინგ კურსი. ამასთანავე პროგრამას დაემატა სავალდებულო კომპონენტი - სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია არჩევითი სასწავლო კომპონენტებით. რაც შეეხება კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, ამ შემთხვევაში პროგრამის სტრუქტურაში დამატებულია კოლოკვიუმები, რომლის ფარგლებში მომზადებული კვლევის შედეგების წარდგენა პერიოდულად ხდება საჯაროდ.

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე განახლებული სახით იქნა წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მატრიცები, კერძოდ, არსებით ცვლილებს დაექვემდებარა სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა, დეტალიზებულად არის განსაზღვრული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და წარმოდგენილია ასევე სწავლის შედეგების კომპეტენციები.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (3 დანართი). წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მიმართებით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 22 0000650432 16/06/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნინო ქიმერიძე (თავმჯდომარე); გიორგი თავაძე(წევრი) განახორციელა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის *ფილოსოფია* არაგემიური მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

▪ **რეკომენდაციები**

კომპონენტი 2.6

- დაკორექტირდეს შეფასების მინიმალური ზღვრები სასწავლო კურსებში;

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.2

- სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა და დაკორექტირდეს ცალკეული ველები (პირველი შედეგის მიმართება დანარჩენ მიზნებთან);

კომპონენტი 2.3

- სასურველი დაზუსტდეს დარგობრივი სემინარების კრედიტ-მოცულობა.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კომპონენტი 2.3

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ. 7), 2018 წელს, როდესაც პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, მისი კრედიტების მოცულობა შეადგენდა 180 კრედიტს. თუმცა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის გ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და პროგრამის კრედიტთა რაოდენობა 180-ის ნაცვლად გახდა 60. პროგრამის განახლებული სტრუქტურის მიხედვით აღნიშნული 60 კრედიტის დაგროვება მხოლოდ სასწავლო კომპონენტების ფარგლებში ხორციელდება;

- საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ჩამონათვალს დაემატა TSDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების ტრენინგ-კურსი და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7);

- შეიცვალა პროგრამის სავალდებულო კომპონენტების მოცულობაც, კერძოდ, 2021 წელს წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო კრედიტების რაოდენობა შეადგენდა 54 კრედიტს, ხოლო განახლებულ პროგრამაში მათი რაოდენობა შეადგენს 42 კრედიტს: დარგობრივი სემინარების 12 კრედიტი არჩევით კომპონენტებში იქნა გადატანილი (თუმცა, ეს არაა აღნიშნული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში).

- **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პასუხებში კონკრეტული საკითხები ბოლომდე არ არის გადაფარული და დაელოდება საკითხის საჯარო განხილვას აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაციები და რჩევები რჩება უცვლელი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია და კრიტიკული რეფლექსიის უნარით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ფილოსოფიის დარგის განვითარებაში და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციას. პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და ისინი თავსებადია მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti) და უნივერსიტეტის (იხ. https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission) მიზნებსა და მისიასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის კურიკულუმი • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტის მიზნები
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამაში (გვ. 3-4) მოცემულია სწავლის შედეგები, რომლებიც არ მოდის წინააღმდეგობაში პროგრამის მიზნებთან, შეესაბამება სადოქტორო დონისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი დადგენილ მოთხოვნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამას თან ერთვის მიზნებისა და შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების ურთიერთმიმართება. აღნიშნულ რუკასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგის სახის შენიშვნა: რუკის თანახმად, პროგრამის სწავლის პირველი შედეგი

(„ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულებით ამჟღავნებს შინაარსის (კონტენტის) და კონტექსტის შესახებ საექსპერტო ცოდნას, მათ შორის განვითარების უახლესი ტენდენციების და აქტუალური საკითხების შესახებ“) მიემართება პროგრამის პირველ მიზანს („მაღალკვალიფიკაციური, კრიტიკული რეფლექსიის მქონე მკვლევარების მომზადება“), თუმცა, აღნიშნული სწავლის შედეგი კურსდამთავრებულს დანარჩენი მიზნების (მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ფილოსოფიის დარგის განვითარებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება, მზადყოფნა წარმატებული აკადემიური კარიერისთვის) მიღწევაშიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნულის ასახვა რუკაზე და მიზნების შესაბამისი უჯრების მონიშვნა.

პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც დადგენილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებთან მიმართებით. შეფასების პერიოდი იწყება VI სემესტრიდან. გარდა ამისა, კომპეტენციების რუკაზე მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების მიმართება პროგრამის კომპონენტებთან (სადოქტორო და დარგობრივი სემინარები, სადოქტორო კოლოკვიუმები, საერთაშორისო პუბლიკაცია და ა.შ.). სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ლოგიკურად გამართულადაა შედგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- მიზნებისა და შედეგების რუკა;
- კომპეტენციების რუკა.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა და დაკორექტირდეს ცალკეული ველები (პირველი შედეგის მიმართება დანარჩენ მიზნებთან);

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვებისთვის დოქტორანტობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. მან, ასევე, წარმატებით უნდა ჩააბაროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (მინიმუმ B² დონე), ან წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (შესაძლებელია, ასევე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის, ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის წარმოდგენა). გარდა ამისა, დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარადგინოს სადოქტორო კვლევითი განაცხადი და ჩააბაროს ზეპირი გამოცდა დარგობრივი კომისიის წინაშე. სადოქტორო პროგრამის კანდიდატთან ზეპირი გამოცდა ფასდება ორი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით: პრეზენტაცია და დისკუსია. ზეპირი გამოცდის დროს დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ათწუთიანი პრეზენტაცია მის მიერ წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის შესახებ. პრეზენტაციის შემდეგ იმართება დისკუსია. დისკუსიისას შეფასდება დოქტორანტობის კანდიდატის უნარი, პასუხი გასცეს დარგობრივი კომისიის წევრების კითხვებს საკვლევი თემის/პრობლემის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მიზნის, საკვლევი ჰიპოთეზის, კვლევის მოსალოდნელი შედეგების შესახებ.</p> <p>დოქტორანტურაში მიღების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ის განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე (https://iliauni.edu.ge/ge/study/phd), ხოლო ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის აღწერა მოცემულია მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე (https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/filosofia), ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის შემდგომ კორექტირებული საგანმანათლებლო პროგრამა ასევე განთავსდება უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე)</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები თავსებადია მოქმედ კანონმდებლობასთან და ისინი კავშირშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის კურიკულუმი; • პროგრამაზე მიღების დოკუმენტები; • დაწესებულების ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა</p>

<p>თანმიმდევრული და ლოგიკური. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს. აქედან სავალდებულო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 42 კრედიტს, ხოლო არჩევითი კომპონენტების მოცულობა - 18 კრედიტს. სავალდებულო კომპონენტებში შედის: სადოქტორო სემინარი 1-2 (12 კრედიტი), დარგობრივი სემინარი-12 (12 კრედიტი), აკადემიური პუბლიკაციისთვის წერა (6 კრედიტი) და ასისტირება (12 კრედიტი).</p> <p>სადოქტორო სემინარების ფარგლებში დოქტორანტები ხელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი ეყრდნობა დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ სადოქტორო კვლევით განაცხადს. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები ადგენენ სადისერტაციო კვლევისთვის საკვლევ საკითხს; ახორციელებენ ლიტერატურის მიმოხილვას და მის საფუძველზე გამოკვეთენ საკუთარი კვლევითი პროექტის ორიგინალურობას. დარგობრივი სემინარის ფარგლებში დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა, გააღრმავოს თავისი ცოდნა ფილოსოფიაში (ონტოლოგია, ფილოსოფიის ისტორია, ეთიკა, ესთეტიკა, ეპისტემოლოგია, სოციალური თეორია და სხვ.) მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ და გაეცნოს უახლეს ტენდენციებსა და მიდგომებს. პროგრამის აღწერაში თავდაპირველად დარგობრივი სემინარების მოცულობა 12 კრედიტითაა განსაზღვრული (სავალდებულო სასწავლო კომპონენტი), თუმცა 9-ე გვერდზე პროგრამის აღწერაში მითითებულია, რომ „თითოეული დარგობრივი სემინარის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი, ხოლო მოცულობა შეადგენს 6 კრედიტს. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სემინარების ფარგლებში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს ჯამში 24 კრედიტი.“ შესაბამისად, დასაზუსტებელია, რა მოცულობის დარგობრივი სემინარებია სავალდებულო დოქტორანტისთვის (12 თუ 24).</p> <p>სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მესამე სემესტრიდან. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დოქტორანტი ამზადებს ანგარიშს კვლევის მოცემული ეტაპისათვის მიღებული შედეგების შესახებ და წარადგენს დარგობრივი კომისიის წინაშე.</p> <p>ასისტირების დროს დოქტორანტი ჩართულია სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. ასისტირების კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 12 კრედიტი (შესაძლებელია მაქსიმუმ 18 კრედიტის დაგროვება) შესაბამის აქტივობებში (კვლევით პროექტებში მონაწილეობა; პროფესორის ასისტირება აკადემიური კურსის ფარგლებში; კურსის დამოუკიდებლად ჩატარება; საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა/თანახელმძღვანელობა; საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ნაშრომების რეცენზირება.). სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა, ასევე, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება. გარდა ამისა, ცოდნის საჯაროდ გავრცელების მიზნით, დოქტორანტს პროგრამის განმავლობაში ევალება მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა. სადოქტორო პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით და მისი საჯარო დაცვით.</p> <p>ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და ის შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</p> <p>ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამა ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად დაექვემდებარა განახლებას და მასში გარკვეულწილად შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმალური თვალსაზრისით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის კურიკულუმი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; • თვითშეფასების ანგარიში; • დარგობრივი სემინარი: კონცეფცია; • ასისტირების კონცეფცია; • დაწესებულების ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<ul style="list-style-type: none"> სასურველი დაზუსტდეს დარგობრივი სემინარების კრედიტ-მოცულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად (გვ. 7), 2018 წელს, როდესაც პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, მისი კრედიტების მოცულობა შეადგენდა 180 კრედიტს. თუმცა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის გ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და პროგრამის კრედიტთა რაოდენობა 180-ის ნაცვლად გახდა 60. პროგრამის განახლებული სტრუქტურის მიხედვით აღნიშნული 60 კრედიტის დაგროვება მხოლოდ სასწავლო კომპონენტების ფარგლებში ხორციელდება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ჩამონათვალს დაემატა TSDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების ტრენინგ-კურსი და სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7). შეიცვალა პროგრამის სავალდებულო კომპონენტების მოცულობაც, კერძოდ, 2021 წელს წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო კრედიტების რაოდენობა შეადგენდა 54 კრედიტს, ხოლო განახლებულ პროგრამაში მათი რაოდენობა შეადგენს 42 კრედიტს: დარგობრივი სემინარების 12 კრედიტი არჩევით კომპონენტებში იქნა გადატანილი (თუმცა, ეს არაა აღნიშნული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში).
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
<ul style="list-style-type: none"> ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>.ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მთლიანად პროგრამის სწავლის შედეგებთან; ხოლო კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სასწავლო კომპონენტების შინაარსს, სწავლის შედეგებსა და მიზნებს.</p> <p>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსები წარმოადგენს საფუძველს დარგობრივი კომპეტენციების გაღრმავების, მეთოდურ-დიდაქტიკური ჩვევების სრულყოფისა და კვლევითი უნარების უფრო მეტად გაფართოებისათვის.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები
<ul style="list-style-type: none"> პროგრამის სილაბუსები; ასისტორების კონცეფცია; დარგობრივი სემინარის კონცეფცია; სადოქტორო კოლოკვიუმის აღწერა.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სადოქტორო სემინარების მეშვეობით დოქტორანტებს უვითარდებათ ის პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განსახორციელებლად. საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში პუბლიკაციის გამოქვეყნებისა და მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მოთხოვნა უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სამეცნიერო სივრცეში და კვლევითი უნარების განვითარება-დახვეწას. სადოქტორო კოლოკვიუმების სერია, რომელიც სწავლების მესამე სემესტრიდან იწყება, უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და მისი მიზანია კვლევასთან დაკავშირებული ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება. სადოქტორო სემინარების დროს დოქტორანტის აკადემიურ განვითარებას ხელმძღვანელობს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი, ხოლო სადოქტორო კოლოკვიუმზე მუშაობის პროცესში დოქტორანტი ხელმძღვანელობს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებებით, თუმცა კვლევის შედეგებს წარადგენს შესაბამისი დარგობრივი კომისიის წინაშე და მათგან იღებს უკუკავშირს.</p> <p>ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სადოქტორო კოლოკვიუმის მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც ემსახურება კვლევითი უნარების სრულყოფას, კერძოდ ის უზრუნველყოფს კვლევითი პროცესის სისტემატიზაციას და ავითარებს ავტონომიურობისა და კომუნიკაციის უნარს კვლევით პროცესში.</p> <p>რაც შეეხება დარგობრივი სემინარის კომპონენტს, მის ფარგლებში დოქტორანტს საშუალება ეძლევა გაიფართოვოს უახლესი ცოდნა დარგში და სრულყოს ახალი დარგობრივი ცოდნის გადამუშავების, შეფასებისა და საჯარო გაზიარების, დარგობრივ დიალოგში შესვლის უნარი.</p> <p>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი ისეა ჰარმონიზებული, რომ აქცენტირებულია კვლევის ფოკუსირება და ხელშეწყობა.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის კურიკულუმი; • სადისერტაციო ნაშრომის/სადოქტორო კოლოკვიუმისა და დარგობრივი სემინარის კონცეფციები. <p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p> <p>შეფასება</p> <p> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან </p>
--

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის სადოქტორო სემინარებზე სწავლების მეთოდებია: სემინარი, დისკუსია, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი. რაც შეეხება დარგობრივ სემინარებს, იქ გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსია, პრეზენტაცია, წერითი მუშაობის მეთოდი. არჩევით კომპონენტებზე გამოიყენება შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი. ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი. გამოყენებული სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია სადოქტორო საფეხურთან და უზრუნველყოფს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის სილაბუსები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
